ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ქართული ოცნების“ სხდომის

ო ქ მ ი N 25

17 აპრილი , 2024 წელი, 17:00 საათი

სხდომის ჩატარების ადგილი:

ქალაქი ქუთაისი,რუსთაველის გამზირი N3,
ადგილობრივი თვითმმართველობის შენობის მე–2
სართულზე არსებული საკონფერენციო დარბაზი

ფრაქციის სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხი ნიჟარაძე.**

სხდომას ესწრებოდნენ: ფრაქციის წევრები: ნიჟარაძე მარეხი, შენგელია ირაკლი, ბასილაძე გია,ჩიხლაძე მანანა,სიმონიძე მაია, მახარაძე ბაქარი,ლილუაშვილი პაატა, ხამაშურიძე ბესიკი, კოპალეიშვილი ამირანი, ნადირაძე თემური,ბიბილეიშვილი ჯემალი, გიორგაძე მიხეილი.

სულ ესწრებოდა: 12 წევრი.

არ ესწრებოდნენ: ჯუღელი თეა, კოსტავა მაგდა,რიჟამაძე მამუკა, მამასახლისი ზაქრო,მხეიძე დიმიტრი.

სულ: 5 წევრი.

სხდომაში მონაწილეობდნენ: ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,სპეციალური სერვისების''სამსახურის ხელმძღვანელი ბატონი **თენგიზ არსენიძე.** ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,ქუთგანათების სერვისის'' სამსახურის ხელმძღვანელი ბატონი **მალხაზ ბასილაძე.**

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ქალბატონმა **მარეხი ნიჟარაძემ.**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი საკრებულოს**

ფრაქცია „ქართული ოცნების“

N25 სხდომის დღის

წესრიგის პროექტის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ქალბატონმა მარეხი ნიჟარაძემ წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ N25 სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ''სპეციალური სერვისების'' სამსახურის მიერ 2024 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;

ბატონი თენგიზ არსენიძე

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ
''სპეციალური სერვისების' სამსახურის
ხელმძღვანელი

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ''ქუთგანათების სერვისის'' სამსახურის მიერ 2024 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;

ბატონი მალხაზ ბასილაძე

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ''ქუთგანათების სერვისის''
სამსახურის ხელმძღვანელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ქალბატონმა მარეხი ნიჟარაძემ ფრაქციის N25 სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

ღია კენჭისყრით, ერთხმად დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის საკითხი-

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ''სპეციალური სერვისების'' სამსახურის მიერ 2024 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ''ქუთგანათების სერვისის'' სამსახურის მიერ 2024 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა: ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,სპეციალური სერვისების''სამსახურის ხელმძღვანელმა ბატონმა **თენგიზ არსენიძემ**:

,,წარმოგიდგენთ ინფორმაციას ა(ა)იპ „სპეციალური სერვისების" მიერ 2024 წელს სამი თვის შესრულებული სამუშაოების შესახებ:

2024 წლისათვის ა(ა)იპ „სპეციალური სერვისებში" დაიგეგმა საბიუჯეტო პროგრამის სახსრების გამოყენება ჯამში 7 815 000 ლარის ოდენობით (03.01 - ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა) და საკუთარი სახსრების გამოყენება 1 000 000,0 ლარის ოდენობით (03.01 - ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა). აქედან ორგანიზაციამ ასიგნების სახით გამოიყენა 1 383 322,52 ლარი და 540 449.14 ლარი საკუთარი სახსრებიდან. რაც შეადგენს გამოსაყენებელი კვარტლური რესურსების 90,74 %.

ა(ა)იპ „სპეციალური სერვისებმა" დამატებით მიიღო 284 085.66 ლარის შემოსავალი (დამატ.მომსახურება ურნების გამოყენებით - 271 452.42ლ; სხვა დამატებითი მომსახურებიდან - 5900.0ლ; ცხოველთა თავშესაფარში გაწეული მომსახურებით - 3 535.0ლ; დეზინფექცია დერატიზაციის მომსახურებიდან - 2 198.24ლ; მაკულატურის რეალიზაციით (ავანსი) – 1000,0ლ და სხვა შემოსავლები - 0ლ). დამატებითი შემოსავლების კვარტლურმა შესრულებამ შეადგინა 113,63 %.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გატანილ იქნა საყოფაცხოვრებო ნარჩენი დაახლოებით 13554,0 ტონა. დაიგვა და დასუფთავდა - 215 431 580 $მ^2$ ქალაქის ქუჩები და ადმინისტრაციული შენობა. ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით ქალაქში თოვლისაგან გაიწმინდა ქუთაისში არსებული ხიდები, ქუჩები, საფეხმავლო ტროტუარები, რისთვისაც გაიხარჯა 4,3 ტონა ტექნიკური მარილი და 24,0 $მ^3$ ქვიშა.

დაიწნეხა ქალაქის ტერიტორიიდან მოპოვებული 101 შეკვრა მუყაო, 2023 წლიდან ნამთის სახით გადმოგვყვა 25 შეკვრა მუყაო და 29 შეკვრა პლასმასი.

ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვის კომპოსტირების სამსახურმა 2024 წლისათვის შეძლო ქ. ქუთაისის ტერიტორიაზე ხეების გადაბელვითა და სხვლა-ფორმირების შედეგად მიღებული მწვანე ნარჩენების დაქუცმაცების შედეგად 12,4 ტონა საკომპოსტე მასალა გადაამუშავა და მიიღო 10 ტონა მზა პროდუქტის ნაყარი (2023 წლიდან გადმოსული საკომპოსტე მასალა 134,6ტ და 2,5ტ მზა კომპოსტი).

გადაიბელა და სხვლა-ფორმირება ჩაუტარდა - 75 ძირ ხეს. მოიჭრა გამხმარი და სტიქიით დაზიანებული - 67 ძირი ხე. დაიმორა 103,5 $მ^3$ საშეშე მერქანი, რითაც დაკმაყოფილდა 69 ბენეფიციარი. სულ მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნით შესრულდა 57 დაგეგმილი სამუშაო.

უმეთვალყურეო ცხოველების თავშესაფარში შემოყვანილ იქნა 434 ძაღლი, 8 ლეკვი და 9 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. გაჩუქდა 15 ძაღლი, 6 ლეკვი და სათანადო დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ მფლობელებს დაუბრუნდათ 9 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. ევთანაზია გაუკეთდა 25 ძაღლს. ბუნებრივად გარდაიცვალა 6 ძაღლი. ოპერაცია ჩაუტარდა 353 ძაღლს, აიცრა 353 და ბუნებრივ არეალში გაიშვა 344 ძაღლი. დამატებით კერძო მოსახლეობიდან შემოყვანილი შინაური ცხოველების მომსახურებიდან ორგანიზაციამ მიიღო 3 535 ლარი.

ქვეწარმავლების საწინააღმდეგოდ შეიწამლა 300 გრძ/მ მიწის ფართობი. მღრღნელების საწინააღმდეგოდ დამუშავდა 544 880 $მ^2$ ტერიტორია. დეზიფექცირდა სპეციალური რეაგენტებით შეიწამლა 54 470 $მ^2$ ფართობი, დეზინფექცირდა185 093 $მ^2$, ასევე შეიწამლა 264 სველი წერტილი.

გაიწმინდა - 5 600 გრძივი/მეტრი სანიაღვრე არხი. ამოიწმინდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა - 652 ჭას და ცხაურს. ბალახისაგან გაითიბა - 3 790 $მ^2$ ფართობი. შესრულდა - 171 სხვა დამატებითი სამუშაო. დამონტაჟდა - 5 ცალი სანიაღვრე ჭა და ცხაური. სულ შესრულებული სამუშაოების რაოდენობა არის 234.

აღდგა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 3 საფეხბურთო მოედნის ღობეების საყრდენ ბოძებს და მავთულბადეებს, შერემონტდა 1 გამაჯანსაღებელი ატრაქციონი, დემონტაჟი ჩაუტარდა 1 ატრაქციონს, აღდგა 1 სკვერის მოაჯირი''.

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,ქუთგანათების სერვისის'' სამსახურის ხელმძღვანელი ბატონი **მალხაზ ბასილაძე:** ,,2024 წლის დასაწყისში ძირითადად მიმდინარეობდა საახალწლო დეკორაციების დემონტაჟი. პარალელურ რეჟიმში ხორციელდებოდა შემოვლების შედეგად და ცხელ ხაზზე მოქალაქეების ზარების საფუძველზე დაფიქსირებული დაზიანებების აღმოფხვრა. აღნიშნული წლის სამი თვის პერიოდში განხორციელდა 12 ცალი ახალი ანძის დამონტჟება სანათთან და სადენთან ერთად და 18 ცალი ბრჯენის (კრონშტეინი) მოწყობა სანათთან ერთად.

განხორციელდე ასევე ავტომშენებლის ქუჩაზე მდებარე რეგულირებადი შუქნიშნის აღდგენა. ახალგაზრდობის გამზირზე 33-ე სკოლასთან მდებარე რეგულირებადი შუქნიშნის აღდგენა. ავარიის შედეგად აღმაშენებელი-ასათიანის კვეთაზე მდებარე შუქნიშნის სექციის აღდგენა ანძასთან ერთად.

დაიხაზა ნიკეას ქუჩის ფეხითმოსიარულეთა გადასასვლელი, ბალახვნის ცენტრი, ირაკლი აბაშიძის მონაკვეთი შუქნიშნიდან ავტოქარხნის ხიდამდე. და რამოდენიმე ფეხითმოსიარულეთა გადასასვლელი სკოლების წინ".

დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხი ნიჟარაძე:** ,,რამდენი ახალი ნაგავმზიდი ტრანსპორტი შეიძინა სამსახურმა და არის თუ არა ის საკმარისი ქალაქში პრობლემის მოსაგვარებლად დასუფთავების მხრივ ?''

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,სპეციალური სერვისების''სამსახურის ხელმძღვანელი ბატონი **თენგიზ არსენიძე**: ,,მ/წ აპრილის თვიდან დამატებით კიდევ შევიძინეთ ორი(2) ნაგავმზიდი.''

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" წევრი , ბატონი **ირაკლი შენგელია: ,,სამსახურის მიერ** სანიაღვრე სისტემის დროულად მოწესრიგება თუ ხერხდება?არის თუ არა საკმარისი ადამიანური რესურსი?''

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,სპეციალური სერვისების''სამსახურის ხელმძღვანელი ბატონი **თენგიზ არსენიძე**: ,,რა თქმა უნდა არ არის საკმარისი და გამოცხადებული გვაქვს ვაკანსია შესაბამის პოზიციაზე.''

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" წევრი , ქალბატონი **მანანა ჩიხლაძე:** გათიბვებთან დაკავშირებით არის თუ არა საკმარისი ტექნიკური და ადამიანური რესურსი?''

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,სპეციალური სერვისების''სამსახურის ხელმძღვანელი ბატონი **თენგიზ არსენიძე**: სეზონურ სამუშაოებთან დაკავშირებით საჭიროებისამებრ ხელშეკრულებით აგვყავს თანამშრომლები.''

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხი ნიჟარაძე**: იგეგმება თუ არა გარე განათების ბოძების დამატება მოქალაქეთა მოთხოვნის საფუძველზე ?''

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,ქუთგანათების სერვისის'' სამსახურის ხელმძღვანელი ბატონი **მალხაზ ბასილაძე**: ,,მოსახლეობის მხრიდან მოთხოვნის საფუძველზე იგეგმება დამატებით შესაბამის ლოკაციებზე გარე განათების ბოძების განთავსება. ''

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" წევრი ,ბატონი **ირაკლი შენგელია:** რას გვეტყვით ბაღებთან და სკოლებთან გადასასვლელების დახაზვის თაობაზე ,რაც მოთხოვნილი იყო საკრებულოს დეპუტატების მიერ?''

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი ,ბატონი **ირაკლი შენგელია:** რას გვეტყვით ბაღებთან და სკოლებთან გადასასვლელების დახაზვის თაობაზე ,რაც მოთხოვნილი იყო საკრებულოს დეპუტატების მიერ?''

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,ქუთგანათების სერვისის'' სამსახურის ხელმძღვანელი ბატონი **მალხაზ ბასილაძე:** ქალაქ ქუთაისის N 41-ე საჯარო სკოლასთან გადასასვლელის დახაზვისთვის საჭირო სამუშაოები უკვე დასრულებულია,ხოლო რაც შეეხება დანარჩენ სამუშაოებს ჯერ კიდევ მიმდინარეობს.''

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხი ნიჟარაძე:** ,,ქალაქში არის თუ არა დაგეგმილი საგზაო ნიშნების მოწესრიგება?''

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,ქუთგანათების სერვისის'' სამსახურის ხელმძღვანელი ბატონი **მალხაზ ბასილაძე:** მინდა მოგახსენოთ,რომ ეტაპობრივად ხდება ჩანაცვლება დაზიანებული საგზაო ნიშნების .''

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების“ ოცდამეხუთე სხდომამ მუშაობა დაასრულა და ფრაქციის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მ. ნიჟარაძე